

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

### წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 28 მარტის №22 სხდომის

#### **d a d g e n i l e b a №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №22 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2017 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2017 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ (პროგრამული კოდი 32 05 02 03) 2014-2015 წლის ასიგნების ფარგლებში სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დაფინანსების თანხები, რომელიც 2017 წლის 1-ელი იანვრისათვის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტიდან გადმოცემული ცნობის საფუძველზე, წარმოადგენს ნაშთს, საჭიროებს ასახვას საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით გათვალისწინებულ შემოსულობებში, ხოლო გადასახდელებში გაიწეროს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, სულ 3 380 748 ლარი. მათ შორის:

1.1 2013 წლის 30 დეკემბრის №01/162-89 ხელშეკრულებით აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შენობის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 15 510 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

1.2 2014 წლის 17 დეკემბრის №01/162-452 ხელშეკრულებით ქ. თბილისში გ. ფერადის ქ. №4-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი შეადგენს 396 858 ლარს. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ (პროგრამული კოდი 32 07 02 03) 2017 წლის ასიგნების ფარგლებში სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან 2017 წლის 23 იანვრის №32070203-02 ხელშეკრულებით დაფინანსების მოცულობა განისაზღვრა 331 210 ლარით, რომელიც გაიწეროს ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, კერძოდ: „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებში“ – 145 195 ლარი; „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტში – 45 200 ლარი, „ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტში – 140 815 ლარი, ხოლო სხვაობა სახელშეკრულებო

თანხასა და ნაშთს შორის 65 648 ლარი გაიწეროს 2014 წლის 17 დეკემბრის №01/162-452 ხელშეკრულებით განსაზღვრული „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

1.3 2015 წლის 7 აგვისტოს №01/162-32 ხელშეკრულებით ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 14 689 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

1.4 2015 წლის 17 დეკემბრის №01/162-147 ხელშეკრულებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 698 220 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

1.5 2015 წლის 17 დეკემბრის №01/162-148 ხელშეკრულებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IX კორპუსის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 1 246 010 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

1.6 2015 წლის 17 დეკემბრის №01/162-149 ხელშეკრულებით ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის №36-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხიდან ნაშთი 1 009 461 ლარი გაიწეროს „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

სულ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით“ გასათვალისწინებელი ნაშთი 3 380 748 ლარი გაიწეროს ეკონომიკური კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში: „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებში“ – 145 195 ლარი; „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში – 2 351 318 ლარი, „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტში – 45 200 ლარი, „ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტში – 140 815 ლარი, ხოლო „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში – 698 220 ლარი;

2. 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსულობებში ნაშთის სახით ასახულ იქნა 150 205 ლარი, ფაქტიურად ნაშთმა 2017 წლის 1-ელი იანვრისათვის შეადგინა 221 024 ლარი, ანუ გათვალისწინებულზე 46 819 ლარით მეტი. ასევე, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავლის გრაფაში ასახვას ექვემდებარება სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდ საქართველოს შორის 2016 წლის 1-ელი სექტემბრის №120 ხელშეკრულებით გათვალისწინებული „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ პროექტის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული თანხებიც, სულ 60 012 ლარი, საიდანაც ნაშთი 1-ელი იანვრისათვის შეადგენს 33 150 ლარს, ხოლო მიმდინარე წლის 6 თებერვალს გადაკონვერტირებული თანხა – 27 862 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსულობები 107 831 ლარით, საიდანაც 79 969 ლარით გაიზარდოს ნაშთი და შეადგინოს 230 174 ლარი, ხოლო 27 862 ლარით გაიზარდოს მიმდინარე წლის

შემოსავალი და შეადგინოს 2 027 862 ლარი და გადასახდელებში გაიწეროს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად;

3. 2015 წლის 17 ივლისს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე უნივერსიტეტის კვლევით ფონდსა და სტუ-ის შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში აკრედიტაციისა და ინსტიტუციური ხელშეწყობის ინიციატივას მეცნიერების, ტექნოლოგიის, საინჟინრო და მათემატიკის სფეროებისათვის კომპაქტის ფარგლებში, პროექტში მონაწილე სტუ-ის პროფესორ-მასწავლებლებისათვის 2016 წლის ბოლოს ჩაირიცხა შრომის ანაზღაურების დასაფინანსებელი თანხა – 16 761 ლარი, რომელიც ნაშთის სახით აისახა 2017 წლის 1-ელი იანვრისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს შემოსულობები სახელწოდებით „SDSU- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი“, ხოლო გადასახდელებში გაიწეროს ამავე სახელწოდების პროგრამით „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლით;

4. საქართველოს რაგბის კავშირიდან 2016 წლის 15 ივლისის №293/16 ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებდა 2016-2017 წლების სეზონზე სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რაგბისტთა კლუბის I ლიგაში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის ფინანსურ მხარდაჭერას, გამოეყო 37 500 ლარი, საიდანაც 20 000 ლარი ნაშთის სახით ასახულ იქნა ბიუჯეტის დამტკიცების დროს, რის შემდგომაც დეკემბერში კვლავ მოხდა აღნიშნული პროგრამიდან ხარჯის გაწევა და ნაშთმა 2017 წლის 01 იანვრისათვის შეადგინა 19 130 ლარი, ანუ გათვალისწინებულზე 870 ლარით ნაკლები, რითაც მცირდება შემოსულობები და შესაბამისად „რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული გადასახდელები;

5. საერთაშორისო საგრანტო პროექტების ხელშეკრულებებისა და ხარჯთაღრიცხვების თანახმად, სტუ წარმოადგენს თანადაფინანსებელ ორგანიზაციას, რომელთა თანადაფინანსების თანხები გათვალისწინებულია ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვის „სხვა ხარჯების“ მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტში. აღნიშნული მოითხოვს ცვლილებას, სხვადასხვა პროექტების ხარჯთაღრიცხვებიდან გამომდინარე, კერძოდ:

5.1 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №544178–„TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ნ. ჩაჩავა) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 10 853 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ დასაფინანსებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 10 853 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

5.2 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №544091–„TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი თ. ლომინაძე) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 13 756 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი ხარჯების დასაფარად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 2 126 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში, ხოლო 11 630 ლარი – „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

ამასთან, ცვლილებას საჭიროებს აღნიშნული გრანტის ხარჯთაღრიცხვა, კერძოდ: „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლიდან 22 240 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ ხარჯებში;

5.3 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №544605 - „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი თ. ლომინაძე) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 9 022 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი ხარჯების დასაფარად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 9 022 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

5.4 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №544191 - „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ი. მოსაშვილი) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 13 239 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი ხარჯების დასაფინანსებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 12 120 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში, ხოლო 1 119 ლარი – „წარმომადგენლობით“ ხარჯებში;

5.5 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №544521-„TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ო. ზუმბურიძე) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 18 438 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ დასაფინანსებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 18 438 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

5.6 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №543904 „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ს. დადუნაშვილი) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 2 700 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი ხარჯების დასაფარად. აღნიშნულიდან გამომდინარე „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 2 700 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში;

სულ, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „სხვა ხარჯების“ მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტი, შემცირდეს საერთაშორისო გრანტების თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული თანხით – 68 008 ლარით, საიდანაც 52 559 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში; 2 700 ლარი – „მივლინების“ მუხლში; 1 119 ლარი – „წარმომადგენლობით ხარჯებში“; ხოლო 11 630 ლარი – „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

6. საერთაშორისო საგრანტო პროექტების ხელშეკრულებებისა და ხარჯთაღრიცხვების თანახმად, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საერთაშორისო გრანტების გრაფა ექვემდებარება გაზრდას 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთით 235 491 ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელებში გაიწეროს „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამით“, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად;

6.1 ასევე, გაზრდას ექვემდებარება მიმდინარე წლის შემოსულობების საერთაშორისო გრანტების გრაფა 227 587 ლარით, საიდანაც 58 478 ლარი საერთაშორისო პროექტ №543904 - „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ს.

დადუნაშვილი) თანხა, ხოლო 169 109 ლარი – საერთაშორისო პროექტი №561555 - „EPP-1-2015-ის (ხელმძღვანელი მ.ხურციძე) თანხა. შესაბამისად, ამავე თანხით გაიზარდოს გადასახდელები და გაიწეროს „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამით“, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად;

7. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის №217164 გრანტისა (ხელმძღვანელი თ. ეთერაშვილი) და ნაერთი ბიუჯეტის „სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამის“ ხარჯთაღრიცხვაში განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ: „სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების“ ხარჯებიდან 3 600 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ ხარჯებში, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტიდან 2 550 ლარი გადატანილ იქნეს „სამეცნიერო“ ხარჯებში;

8. სტუ-ის სამეცნიერო, სასწავლო, საწარმოო ცენტრ „ანალიზხელსაწყო“ ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში იჯარიდან შემოსავლების გრაფაში „ელექტროენერჯის ხარჯებიდან“ 2 125 ლარი გადატანილ იქნეს „ინტერნეტით მომსახურების ხარჯებში“, ხოლო 804 ლარი – „სხვა ხარჯების“ მუხლის „მოსაკრებლების“ პუნქტში;

9. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „წარმომადგენლობითი ხარჯებიდან“ 750 ლარი გადატანილ იქნეს „რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის“ ხარჯებში;

10. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა შენობა-ნაგებობების“ პუნქტიდან 22 000 ლარი გადატანილ იქნეს „სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების შეძენის“ პუნქტში.

11. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 9 მარტის №5 სხდომის ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, სამეცნიერო კვლევით პროექტებზე კონკურსის გამოცხადებას, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამარჯვებული პროექტის დაფინანსების მიზნით გამოყოფილ იქნეს 100 000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ: „შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან“ 100 000 ლარი გადატანილ იქნეს „მტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლის „მტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 28 მარტის №22 სხდომის

**d a d g e n i l e b a №2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №22 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის პირველი სასწავლო კორპუსის მე-5 სართულზე იჯარით გაცემული 18 კვ.მ. ფართობზე არსებული იჯარის ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ის პირველი სასწავლო კორპუსის მე-5 სართულზე იჯარით გაცემული 18 კვ.მ. ფართობზე არსებული იჯარის ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 28 მარტის №22 სხდომის

**d a d g e n i l e b a №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №22 სხდომაზე პროფ. ვახტანგ უგრეხელიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტთან სასურსათო ტექნოლოგიების სასწავლო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2330.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი „სასურსათო ტექნოლოგიების სასწავლო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 28 მარტის №22 სხდომის

**d a d g e n i l e b a №4**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №22 სხდომაზე პროფ. ნუგზარ სიხარულიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტთან მთარგმნელობითი ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2334.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი „მთარგმნელობითი ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 28 მარტის №22 სხდომის

**d a d g e n i l e b a №5**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №22 სხდომაზე პროფ. ნინო იმნაძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის წოდების მისანიჭებელი ვაკანსიების კვოტის 2 ერთეულით (პროფესორის) გაზრდისა და ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2338.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. გაეზარდოს ემერიტუსის წოდების მისანიჭებელი ვაკანსიების კვოტა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტს პროფესორის 2 ერთეულით;
2. მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის არქიტექტურის და ურბანისტიკის დეპარტამენტის პროფ. ვახტანგ დავითაიას და არქიტექტურის საფუძვლების დეპარტამენტის პროფ. თამაზ სანიკიძეს.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 28 მარტის №22 სხდომის

**d a d g e n i l e b a №6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №22 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან არსებული „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის“ გაუქმების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2336.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: გაუქმდეს სტუ-თან არსებული „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრი“.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 28 მარტის №22 სხდომის

**d a d g e n i l e b a №7**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №22 სხდომაზე პროფ. ირაკლი გაბისონიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე პოლიტიკისა და სამართლის ინსტიტუტის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2339.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე შეიქმნას პოლიტიკისა და სამართლის ინსტიტუტი, როგორც ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 28 მარტის №22 სხდომის

**d a d g e n i l e b a №8**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №22 სხდომაზე პროფ. ირაკლი გაბისონიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე კომერციული და კერძო სამართლის ინსტიტუტის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2343.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე შეიქმნას კომერციული და კერძო სამართლის ინსტიტუტი, როგორც ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გაბოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 28 მარტის №22 სხდომის

**d a d g e n i l e b a №9**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №22 სხდომაზე პროფ. ლევან ნადარეიშვილმა წარმოადგინა საკითხი ამერიკულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის დადგენილება №2340.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დაკმაყოფილდეს ვ. ჭავჭავაძის სახ. კიბერნეტიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნ. თანამშრომლის, ლევან ნადარეიშვილის თხოვნა და ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციას გამოეყოფოს 900 აშშ დოლარი (ცხრაასი დოლარი) სტატიის გამოსაქვეყნებლად ჟურნალში “Materials Science and Engineering” (USA).

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გაბოკიძე